საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

07/09/2023
N 09-02-16/520

520-09-02-16-2-202309071712

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს

ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანუს უფლებათა კომიტეტის სხდომაზე ბიუჯეტის განხილვისას თქვენ განაცხადეთ რომ შეასრულეთ დანაპირები და რეგიონში განხორციელებულია 4 მილიარდი ლარის ოდენობის ინვესტიცია, საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ემატება ადგილობრივი ინვესტიციები, რომლის საერთო მოცულობა 4 მილიარდ ლარზე მეტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია:

საინვესტიციო პროექტების დასახელება, განმახორციელებელი კომპანიის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი/საინვესტიციო მიწის საკადასტრო კოდი, სადაც უკვე განხორციელდა ინვესტიცია, უკვე განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა დღემდე, პროექტის დაწყების თარიღი;

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები